უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 15

20 13 წ. "16" 09

ქ.თბილისი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 211349192) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები:

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით**	**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**
ბაკალავრიატი	1.ბიოსამედიცინო ინჟინერიის (ინგლისურენოვანი)	1.ინჟინერიის ბაკალავრი ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციისა და მართვის სისტემებში. შუალედური კვალიფიკაცია - ხელსაწყოთმშენებლობა, ავტომატიზაცია და

	2. სახმელეთო სატრანსპორტო-ტექნოლოგიების (რუსულენოვანი)	მართვის სისტემები 2.მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრი შაულედური კვალიფიკაცია - მექანიკის ინჟინერიასა და ტექნოლოგიაში.
მაგისტრატურა	1. ტექნოლოგიების მენეჯმენტისა და პოლიტიკის (ინგლისურენოვანი)	1.ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ტექნოლოგიების მენეჯმენტის სპეციალიზაციით.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 16 სექტემბრის №3 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნინო ჩინჩალაძე

მდივანი
ანა ბახტურიძე